საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება
N 746 2005 წლის 9 სექტემბერი ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სამხედრო მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის დამტკიცების შესახებ

დამტკიცდეს ¨საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სამხედრო მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმელი და ატრიბუტიკა¨ თანდართული ესკიზებისა და აღწერილობის მიხედვით.

მიხეილ სააკაშვილი

დამტკიცებულია
საქართველოს პრეზიდენტის
2005 წლის 9 სექტემბრის
N 746 ბრძანებულებით

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სახელმწ იფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სამხედრო მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმელი და ატრიბუტიკა



სიმბოლიკა, ატრიბუტიკა, უნიფორმები, ფერნიტურა

2005 წელი

<u>პ ლ ა ნ შ ე ტ ი 1</u>

სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სეფე დროშა
(აღწერილობა)

სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სეფე დროშა წარმოადგენს ქსოვილს პროპორციით 2X3. წითელ ფერის (შინდისფერი) ველზე კომპოზიციის ცენტრში გამოსახულია თეთრი ფერის ცენტრალური ჯვარი, სიგანით დროშის სიმაღლის 1/5. (ტრადიციული ქართული სამხედრო დროშა) თეთრ ჯვარს დაჰყვება მწვანე ფერის (სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სიმბოლური ფერი) კანტები სიგანით თეთრი ჯვრის სიგანის 1/5. (დაშორება - იგივე).

დროშის ცენტრში სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ემბლემა. საბრძოლო დროშა ემბლემის გარეშე.





სანაპიროზე საზღვრის დაცვის
დეპარტამენტის სეზე დროშა

<u>პლანშეტი 2</u>

სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის დროშა
(აღწერილობა)

სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის დროშა წარმოადგენს ქსოვილს პროპორციით 2X3. ლურჯი ფერის (შინდისფერი) ველზე კომპოზიციის ცენტრში გამოსახულია თეთრი ფერის ირიბი ჯვარი (წმ. ანდრიას ჯვარი – მეზღვაურთა მფარველი), სიგანით დროშის სიმაღლის 1/5. თეთრ ჯვარს დაჰყვება მწვანე ფერის (სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სიმბოლური ფერი) კანტები სიგანით თეთრი ჯვრის სიგანის 1/5. (დაშორება - იგივე)
დროშის ცენტრში სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ემბლემა. საბრძოლო დროშა ემბლემის გარეშე.



სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის
საანარიო დაცვის დრონა

<u>პლანშეტი 3</u>

სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების ავიაციის სამმართველოს დროშა

(აღწერილობა)

სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების ავიაციის სამმართველოს დროშა წარმოადგენს ქსოვილს პროპორციით 2X3. თეთრი ფერის ველზე კომპოზიციის ცენტრში გამოსახულია წითელი (შინდისფერი) ფერის ცენტრალური ჯვარი (წმ. გიორგის ჯვარი), სიგანით დროშის სიმაღლის 1/5. მეოთხედებში წარმოსახვითი ირიბი ჯვრის ზღვარზე აგე=ბულია ოთხი მწვანე (სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სიმბოლური ფერი) ფერის სამკუთხედი, რომლებიც მთლიანობაში ჰქმნიან მოძრაობის სიმბოლოს.

დროშის ცენტრში სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ემბლემა. საბრძოლო დროშა ემბლემის გარეშე.



სახელმწიფო საზღვრის დაცვის
დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების
ავიაციის სამმართველოს დრონა

<u>პ ლ ა ნ შ ე ტ ი 4</u>

სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების რაზმის დროშა
(აღწერილობა)

სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების რაზმის დროშა წარმოადგენს ქსოვილს პროპორციით 2X3. ლურჯი ფერის ველზე კომპოზიციის ცენტრში გამოსახულია წითელი (შინდისფერი) ფერის ცენტრალური ჯვარი (წმ. გიორგის ჯვარი) სიგანით დროშის სიმაღლის 1/5, და თეთრი ირიბი ჯვარი, სიგანით დროშის სიმაღლის 1/7. მეოთხედებში ირიბი ჯვრის ზღვარზე აგე=ბულია ოთხი მწვანე (სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი სიმბოლური ფერი) ფერის სამკუთხედი, რომლებიც მთლიანობაში ჰქმნიან მოძრაობის სიმბოლოს. (ამ კომპოზიციაში გაერთიანებულია სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყველა სახეობის დროშა, ხოლო ირიბი ჯვრის ფორმით ხასგასმულია სამხედრო-მილიტარული ხასიათი).

დროშის ცენტრში სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ემბლემა. საბრძოლო დროშა ემბლემის გარეშე.



სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის
სწრაფი რეაგირების რაზმის დროშა

<u>პ ლ ა ნ შ ე ტ ი 5</u>

სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავჯდომარის შტანდარტი

(აღწერილობა)

სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავჯდომარის შტანდარტი დროშა წარმოადგენს ქსოვილს პროპორციით 2X3, სამი კუწუბოთი პროპრციით 1X3. წითელი (შინდიფერი) ფერის ველზე კომპოზიციის ცენტრში გამოსახულია თეთრი ფერის ცენტრალური ჯვარი სიგანით დროშის სიმაღლის 1\\\\||/5; I-III მეოთხედებში თეთრი ფერის შვიდქიმიანი ვარსკვლავი. ცენტრში სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ემბლემა.





სამოქალაქო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის
თავდაცვის მინისტრის

<u>პ ლ ა ნ შ ე ტ ი 6</u>

ჯილდოები

მედალი “სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში უმწიკლო სამსახურისათვის”

1. პირველი ხარისხი- ოქროს ფერი მედალიონი ჯვრის ფორმის, ავერსი- გამოსახულია საზღვრის ოთხი დაცვის სიმბოლოს (თამარ მეფის ხელრთვა) ჯვრული კომპოზიცია.
რევერსი: წარწერა “ სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში უმწიკლო სამსახურისათვის” ცენტრში ლათინური "'I" - ხარისხის აღნიშვნა.
ბაბთა- მწვანე ფერის, კიდეებზე ორი თეთრი ზოლით.

2. მეორე ხარისხი- ვერცხლის ფერი მედალიონი ჯვრის ფორმის, ავერსი- გამოსახულია საზღვრის ოთხი დაცვის სიმბოლოს (თამარ მეფის ხელრთვა) ჯვრული კომპოზიცია.
რევერსი: წარწერა “ სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში უმწიკლო სამსახურისათვის” ცენტრში ლათინური "II" - ხარისხის აღნიშვნა.
ბაბთა- მწვანე ფერის, კიდეებზე ორი თეთრი ზოლით.

3. მესამე ხარისხი- ბრინჯაოს ფერი მედალიონი ჯვრის ფორმის, ავერსი- გამოსახულია საზღვრის ოთხი დაცვის სიმბოლოს (თამარ მეფის ხელრთვა) ჯვრული კომპოზიცია.
რევერსი: წარწერა “ სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში უმწიკლო სამსახურისათვის” ცენტრში ლათინური "'III" - ხარისხის აღნიშვნა.
ბაბთა- მწვანე ფერის, კიდეებზე ორი თეთრი ზოლით.



<u>პ ლ ა ნ შ ე ტ ი 7</u>

ჯილდოები- (ფალერისტიკა)

მედალი „გიორგი თორელის სახელობის მედალი“

1. ავერსი- ოქროს ფერი მედალიონი მრგვალი ფორმის, გამოსახულია აბჯარი (ჯაჭვის პერანგი) ზეაღმართული ხმალი მრგვალი ფარით, ზედ საზღვრის სიმბოლოთ გამოსახულებით; შვიდი ჯვარი (ბოლნური ჯვარი); ასომთავრული აბრავიატურა „გთ“- გიორგი თორელი.
ბაბთა- თეთრი ფერის, შუაში ფართო მწვანე ზოლით, კიდეებზე ორი შავი ზოლით.
რევერსი- წარწერა გიორგი თორელი (პირველი ასოები-ასომთავრული)

საიუბილეო მედალი „საქართველოს სასაზღვრო ძალები ათი წლისაა“

2. ავერსი- ოქროს ფერი მედალიონი მრგვალი ფორმის, გამოსახულია ნორმანული ფარი მწვანე ველზე სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სიმბოლო, ფარის მტვირთველი ორი ოქროს ფერი ლომი რომლებიც დგანან ვაზის წნულის ორნამენტზე და შემართული ხმალის გადაჯვარიდინებული ღუზის და ფრთების ერთიან კომპოზიციაზე. ზემოდან შვიდი შვიდქიმიანი ვარსკვლავი
ბაბთა- წითელი (შინდისფერი) ფერის, კიდეებზე შავთეთრი წვრილი ზოლებით შუაში მწვანე ფართო ზოლით.
რევერსი- წარწერა „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი ათი წლისაა“

საიუბილეო სამკერდე ნიშანი „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი ათი წლისაა“

3. ოქროს ფერი ციხე-კოშკი, რომელზედაც გამოსახულია ნორმანული ფარი მწვანე ველზე სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სიმბოლო, ფარის მტვირთველი ორი ოქროს ფერი ლომი რომლებიც დგანან სადევიზო ლენტი წარწერით 1992-2002 და შემართული ხმალის გადაჯვარიდინებული ღუზის და ფრთების ერთიან კომპოზიციაზე. ზემოდან შვიდი შვიდქიმიანი ვარსკვლავი
წვრილი ზოლებით შუაში მწვანე ფართო ზოლით.
რევერსი- წარწერა „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი ათი წლისაა“



საიუბილეო მედალი „სანაპირო დაცვა 10 წლისაა“ *(13.06.2008 N 306)*

4. ავერსი – საიუბილეო მედალი „სანაპირო დაცვა 10 წლისაა“ არის მრგვალი ოქროსფერი ლითონის მედალიონი ზომით 35 მმ, რომლის ცენტრში გადაჯვარედინებულ ორ საზღვაო ღუზაზე გამოსახულია სასაზღვრო პოლიციის ემბლემა; მედალიონის გარშემო განლაგებულია წარწერა: „სასაზღვრო პოლიცია“ და

„სანაპირო დაცვა“, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოიყოფა ორი შვიდქიმიანი ვარსკვლავით; მედალიონი ქართული ვაზის წნულის ორნამეტის დეტალთ უკავშირდება ბაფთას.

ბაფთა ლივლივა ლაჟვარდის (ლურჯი) ფერისაა, ცენტრში ფართო თეთრი აშიით, კიდეებზე ორი მწვანე კანტით, სიგანით 32 მმ.

მედლის თამასა ლივლივა ლაჟვარდის (ლურჯი) ფერისაა, ცენტრში ფართო თეთრი არშიით, კიდეებზე ორი მწვანე კანტით.

რევერსზე ამოტვიფრულია წარწერა: “სანაპირო დაცვა 10 წლისაა” და სასაზღვრო პოლიციის ემბლემის მთავარი სიმბოლო – თამარ მეფის ხელრთვა.”;

ბ) ბრძანებულებით დამტკიცებულ მე–8 პლანშეტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ტექსტი სამკერდე ნიშნის თანდართულ ესკიზთან ერთად:

“სამკერდე ნიშანი “სანაპირო დაცვა 1998 – 2008”

ავერსი – სამკერდე ნიშანი “სანაპირო დაცვა 1998–2008” არის ჰერალდიკური ფარი, რომლის ლურჯ (ლაჟვარდისფერი) ველზე გამოსახულია ირიბი ვერცხლის ჯვარი, სანაპირო დაცვის დროშისა და ემბლემის სიმბოლო. ცენტრში ზევიდან ქვევით დაშვებულ ოქროს ღუზაზე განლაგებულია მრგვალი ოქროსფერი ლითონის მედალიონი – სასაზღვრო პოლიციის ემბლემა, რომლის გარშემო ლურჯ (ლაჟვარდისფერი) არშიაზე ამოტვიფრულია წარწერა: “სანაპირო დაცვა” და “1998 – 2008” “სამკერდე ნიშნის ზომაა – 40 მმ.



<u>პ ლ ა ნ შ ე ტ ი 8</u>

ჯილდოები-(ფალერისტიკა)

სამკერდე ნიშანი “საპატიო მესაზღვრე”

1. ოქროს ფერი ჯვარი (ბოლნური) მწვანე მინანქრით ფრთებში ცენტრში- მგვრალი მედალიონი, მწვანე მინანქარზე ოქროსფერი საზღვრის ემბლემის გამოსახულება, გარშემო შავი მინანქარი წარწერით საპატიო მესაზღვრე. მედალიონის ქვევით გამოსახულია ღუზის, გადაჯვარედინებული ხმლების და ფრთის კომპოზიცია.

სამკერდე ნიშანი “ვეტერანი მესაზღვრე”

1. ოქროს ფერი ვარსკვლავი შვიდ ფრთიანი (ფრთა მალტური]ჯვრის ფორმის) ცენტრში- მგვრალი მედალიონი, მწვანე მინანქარზე ოქროსფერი საზღვრის ემბლემის გამოსახულება, გარშემო შავი მინანქარი წარწერით ვეტერანი მესაზღვრე.

სამკერდე ნიშანი “100-200-300 გასვლა საზღვარზე”

1. ღუზის, გადაჯვარედინებული ხმლების და ფრთის კომპოზიცია. ზემოდან ნორმალური ფარი მწვანე ველზე საზღვრის დაცვის სიმბოლოს გამოსახულებით. სამკერდე ნიშანს აგვირგვინებს წითელ (შინდისფერი) მინანქარზე ოქროსფერი წარწერა-300

2. ღუზის, გადაჯვარედინებული ხმლების და ფრთის კომპოზიცია. ზემოდან ნორმალური ფარი მწვანე ველზე საზღვრის დაცვის სიმბოლოს გამოსახულებით. სამკერდე ნიშანს აგვირგვინებს წითელ (შინდისფერი) მინანქარზე ოქროსფერი წარწერა-200

3. ღუზის, გადაჯვარედინებული ხმლების და ფრთის კომპოზიცია. ზემოდან ნორმალური ფარი მწვანე ველზე საზღვრის დაცვის სიმბოლოს გამოსახულებით. სამკერდე ნიშანს აგვირგვინებს წითელ (შინდისფერი) მინანქარზე ოქროსფერი წარწერა-100



<u>პ ლ ა ნ შ ე ტ ი 9</u>

ჯილდოები-(ფალერისტიკა)

სამკერდე ნიშანი “განწესის უფროსი“

1. ოქროს ფერი ბაროკალური ფარი, წითელ (შინდისფერი) ველზე გამოსახულია მგვრალი-აღმოსავლური ფარი მწვანე ველზე საზღვრის დაცვის სიმბოლოთი და ორი გადაჯვარიდინებული ხმალი. სადევიზო ლენტი წარწერით- განწესის უფროსი.

სამკერდე ნიშანი “განწესის მორიგე“

1. ოქროს ფერი ბაროკალური ფარი, მწვანე ველზე გამოსახულია საზღვრის დაცვის სიმბოლო. სადევიზო ლენტი წარწერით- განწესის მორიგე.

სამკერდე ნიშანი თანრიგის აღნიშვნა- ოფიცრების, ვადიანი, ზევადიანი და საკონტრაქტო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისათვის.

1. ოფიცრებისათვის- ნორმალური ოქროსფერი ფარი მწვანე ველზე საზღვრის დაცვის სიმბოლოს ოქროსფერი გამოსახულებით. კომპოზიციის ქვევით წითელ (შინდისფერი) მინანქარზე ლათინური I, II, III- თანრიგის ხარისხის აღნიშვნა.

1. ვადიანი, ზევადიანი და საკონტრაქტო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისათვის.
- ნორმალური ვერცხლისფერი ფარი მწვანე ველზე საზღვრის დაცვის სიმბოლოს ვერცხლისფერი გამოსახულებით. კომპოზიციის ქვევით წითელ (შინდისფერი) მინანქარზე ლათინური I, II, III- თანრიგის ხარისხის აღნიშვნა.

ელფერი

საბჭოთა ნიშანი
„ტანსაცმლის უფროსი“

ელფერი

საბჭოთა ნიშანი
„ტანსაცმლის მოადგილე“

ანგარიშგებისთვის

ელფერი, ზეფერადი და ხელფასიანი ხაზებისთვის
ხაზგასმული ანგარიშგებისთვის

სახელმძღვანელო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ჯალდათისთვის